# საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/102 „27" სექტემბერი 2024 წ.

# განკარგულება

**მოსამართლის თანამდებობაზე ვ. წითლაურის განწესებაზე უარის თქმის შესახებ**

1. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის $34^1$ მუხლის მე-13 პუნქტის, 35-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა თანდართული დასაბუთებების საფუძველზე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2024 წლის 22 ივლისს გამოცხადებული მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის კენჭისყრის შედეგების საფუძველზე ვლადიმერ წითლაური არ იქნეს განწესებული თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის, თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე.

2. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის $34^3$ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში. საჩივარი წარედგინება საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს (მის.: თბილისი, ბოჭორმის ქ. 12) ამ განკარგულების საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან 1 კვირის ვადაში.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

THE HIGH COUNCIL OF JUSTICE OF GEORGIA

ნინო ქადაგიძე

# ბ ი უ ლ ე ტ ე ნ ი

| |
|---|
| საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულების საფუძველზე მიმდინარე მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის კენჭისყრა 27.09.2024 |
| მოსამართლეობის კანდიდატი ვლადიმერ წითლაური დაინიშნოს |
| 1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ<br>2. თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლედ<br>3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ |

## საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

## ნინო ქადაგიძე

### თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ვლადიმერ წითლაურის კენჭისყრისას მიღებული გადაწყვეტილების

### დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით სააპელაციო და საქალაქო სასამართლოებში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე დაიწყო კონკურსი მოსამართლეების შესარჩევად.

საბჭოს 2024 წლის 15 აგვისტოს №1/81 განკარგულებით მითითებულ კონკურსში დარეგისტრირდა 20 პირი, მათ შორის - ვლადიმერ წითლაური.

აღნიშნული კონკურსი 2024 წლის 28 ივნისის 1/52 განკარგულებით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში არსებულ მოსამართლის 17 ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის პარალელურად მიმდინარეობდა, სადაც ასევე მონაწილეობას იღებდა ვლადიმერ წითლაური. ჩემ მიერ, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ვლადიმერ წითლაურის განწესებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, გათვალისწინებული იქნა ის გარემოება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში შედგენილი რეიტინგული სიის მიხედვით, მან დაიკავა მერვე პოზიცია, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ჩატარებული ღია კენჭისყრისას კი მხარი დავუჭირე აღნიშნული რეიტინგული სიის პირველ 7 კანდიდატს.

იუსტიციის უმაღლესი საბჭო საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების დატვირთულობიდან გამომდინარე, უფლებამოსილია დასახელებულ კონკურსებში მონაწილე კანდიდატთა შემადგენლობა ისე გაანაწილოს სხვადასხვა სასამართლოს შორის, რომ უზრუნველყოს თითოეული სასამართლოს ეფექტური მუშაობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვიღებ გადაწყვეტილებას, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე მხარი არ დავუჭირო **ვლადიმერ წითლაურის** კანდიდატურას.

**ნინო ქადაგიძე**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

# ბიულეტენი

| |
|---|
| საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულების საფუძველზე მიმდინარე მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის კენჭისყრა<br>27.09.2024 |
| მოსამართლეობის კანდიდატი ვლადიმერ წითლაური დაინიშნოს |
| 1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ<br>2. თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლედ<br>3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ |

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ნიკოლოზ მარსაგიშვილი**

**თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ ვლადიმერ წითლაურის განწესებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების**

**დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის N1/74 განკარგულების საფუძველზე დაიწყო სააპელაციო სასამართლოების და თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა. აღნიშნულ პროცედურაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 15 აგვისტოს N1/81 განკარგულებით კანდიდატად დარეგისტრირდა ვლადიმერ წითლაური.

აღსანიშნავია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - ორგანული კანონი) $34^1$ მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად, 2024 წლის 17 სექტემბერს შევადგინე პროცედურაში მონაწილე ყველა კანდიდატის, მათ შორის ვლადიმერ წითლაურის შეფასების დასაბუთება. აღნიშნული დასაბუთება დაეყრდნო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ ორგანული კანონის $34^2$ მუხლის საფუძველზე კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს დასკვნას და საჯარო მოსმენაზე მის მიერ გამოვლენილ თვისებებსა და მახასიათებლებს. ინფორმაციის ანალიზისა და შეჯერების შედეგად კი მივიჩნიე, რომ ვლადიმერ წითლაური ორგანული კანონით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის თითოეული მახასიათებლის მიმართ უნდა შეფასდეს დადებითად, შესაბამისად გავაკეთე დასკვნა, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას ვლადიმერ წითლაურს ორგანული კანონის $36^4$ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული წესის თანახმად, თითოეულ კომპონენტში მივანიჭე შესაბამისი ქულა, რის შედეგადაც მან ჯამში მიიღო საკმაოდ მაღალი - 89 ქულა, რაც ორგანული კანონით გათვალისწინებული მაქსიმალური ქულის 89% შეადგენს.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 19 სექტემბრის N1/83 განკარგულებით თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე

გამოცხადებული კონკურსის შემდგომ ეტაპზე გადავიდა 16 კანდიდატი, მათ შორის, ვლადიმერ წითლაური. იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ყველა წევრის მიერ განხორციელებული შეფასებების მონაცემებით შედგენილი რეიტინგული სიის თანახმად, ვლადიმერ წითლაურმა დაიკავა მე-8 ადგილი (განზოგადებული ქულა - 88.07%).

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის N1/74 განკარგულებით გამოცხადებული კონკურსის პარალელურად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის N1/52 განკარგულებით, რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში არსებულ მოსამართლის 17 ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადდა და ჩატარდა კონკურსი. ორივე კონკურსის ფარგლებში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ განხორციელებული შეფასებების მონაცემებით შედგენილი რეიტინგული სიები იდენტურია, რაც ასახულია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 19 სექტემბრის N1/82 და N1/83 განკარგულებებში.

აქვე აღვნიშნავ, რომ საქართველოს კონსტიტუციის და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო უზრუნველყოფს სასამართლოს ეფექტიანობას. ვინაიდან ორივე კონკურსში მონაწილეობენ მირითადად ერთი და იგივე კანდიდატები, მიმაჩნია, რომ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უნდა უზრუნველყოს კანდიდატების განწესება არა მარტო თბილისის საქალაქო სასამართლოში, არამედ სხვა რაიონულ/საქალაქო სასამართლოებშიც. ამდენად, 2024 წლის 27 სექტემბერს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ჩატარებულ ღია კენჭისყრაზე მიზანშეუწონლად მივიჩნიე ვლადიმერ წითლაურის თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე განწესება.

**ნიკოლოზ მარსაგიშვილი**

**27 სექტემბერი, 2024 წელი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ლევან თევზაძე

# ბიულეტენი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის
№1/74 განკარგულების საფუძველზე მიმდინარე მოსამართლეობის კანდიდატების
შესარჩევი კონკურსის კენჭისყრა
27.09.2024

მოსამართლეობის კანდიდატი ვლადიმერ წითლაური დაინიშნოს

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ
2. თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლედ
3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
ლევანი თევზაძე

27 სექტემბერი, 2024 წელი თბილისი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს,
ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს

**თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ვლადიმერ წითლაურის განწესებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების**

**დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულების საფუძველზე დაიწყო საქართველოს სააპელაციო სასამართლოებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლის 18 ვაკანტურ თანამდებობაზე განწესების მსურველ კანდიდატთა შერჩევის პროცედურა, რომელშიც სხვა კანდიდატებთან ერთად მონაწილეობა მიიღო **ვლადიმერ წითლაურმა.**

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, კანდიდატის შესახებ მოპოვებული წერილობითი ინფორმაციის და საჯარო მოსმენის შედეგად მიღებული შთაბეჭდილების საფუძველზე, შევაფასე პროცედურაში მონაწილე კანდიდატი - ვლადიმერ წითლაური, რის შედეგადაც მივიჩნევ, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით მას 100 ქულიდან მივანიჭე 87 ქულა.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 14 წევრის მიერ განხორციელებული შეფასებების საფუძველზე, კანდიდატის მიერ დაგროვებულ ქულათა ჯამმა შეადგინა 1233 ქულა, რაც მაქსიმალური ქულის 88.07% შეადგენს, ხოლო კეთილსინდისიერების კრიტერიუმით ყველა მათგანმა მიიჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს.

შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 19 სექტემბრის №1/83 განკარგულების თანახმად, აღნიშნული პროცედურის შემდეგ ეტაპზე გადავიდა - ვლადიმერ წითლაური, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში დაგროვებული ქულათა ჯამის მიხედვით, მან დაიკავა მე-8 პოზიცია.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის $34^{1}$ მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი წესით, 2024 წლის 27 სექტემბერს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ჩაატარა ღია კენჭისყრა, სადაც მხარი დავუჭირე პირველ შვიდ პოზიციაზე არსებულ კანდიდატებს.

ზემოთ აღნიშნული კონკურსის პარალელურად, კონკურსი ასევე მიმდინარეობდა რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში არსებულ მოსამართლის 17 ვაკანტურ თანამდებობაზე, სადაც ასევე მონაწილეობას იღებდა ვლადიმერ წითლაური. საქართველოს კონსტიტუციის 64-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „საერთო სასამართლოების დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფის, მოსამართლეთა დანიშვნისა და გათავისუფლების და სხვა ამოცანების შესრულების მიზნით იქმნება საერთო სასამართლოების სისტემის ორგანო – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო". შესაბამისად, კონკურსებში მონაწილე კანდიდატთა შემადგენლობა ისე უნდა განაწილდეს სასამართლოებს შორის, რომ უზრუნველყოფილი იყოს თითოეული სასამართლოს ეფექტიანი მუშაობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მხარი არ დავუჭირე ვლადიმერ წითლაურის თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე განწესებას.

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი**

**ლევანი თევზაძე**



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქეთევან ცინცაძე

# ბიულეტენი

| |
|---|
| საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულების საფუძველზე მიმდინარე მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის კენჭისყრა<br>27.09.2024 |
| მოსამართლეობის კანდიდატი ვლადიმერ წითლაური დაინიშნოს |
| 1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ<br>2. თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლედ<br>3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ |

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ვლადიმერ წითლაურის განწესების საკითხზე უარის თქმის

# დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

27 სექტემბერი, 2024 წელი ქ. თბილისი

2024 წლის 27 სექტემბერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლისა და $34^1$ მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად ჩატარებული ღია კენჭისყრის ფარგლებში, მხარი არ დავუჭირე თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ვლადიმერ წითლაურის განწესებას, შემდეგ გარემოებათა გამო:

კანდიდატის ვლადიმერ წითლაურის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, კანდიდატის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი დეპარტამენტის მიერ მოპოვებული ინფორმაციის და კანდიდატთან ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე, მივედი დასკვნამდე, რომ კანდიდატი - ვლადიმერ წითლაური სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით კანდიდატი, ჩემს მიერ შეფასდა - 87 ქულით (87%) (იხ. ქეთევან ცინცაძის - 2024 წლის 16 სექტემბრის შეფასების დასაბუთება - კანდიდატის ვლადიმერ წითლაურის შესახებ).

ამდენად, მართალია, ვლადიმერ წითლაური ჩემს მიერ როგორც კეთილსინდისიერების, ისე კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით შეფასდა მაღალი შეფასებით, მაგრამ საქართველოს კონსტიტუციის 64-ე მუხლისა და „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 49-ე მუხლიდან გამომდინარე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფუნქციის და როლის გათვალისწინებით, მივიჩნევ, რომ რაიონულ სასამართლოებში არსებული ვაკანტური თანამდებობებისა და ამავე სასამართლოების დატვირთვის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რომ ვლადიმერ წითლაურის მსგავსი კეთილსინდისიერების და კომპეტენტურობის მაღალი დონის მქონე კანდიდატები განწესდნენ არა მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოში, არამედ სხვადასხვა რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში. ამდენად, მართლმსაჯულების ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნიდან გამომდინარე, მხარი არ დავუჭირე ვლადიმერ წითლაურის თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე განწესებას.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ქეთევან ცინცაძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ლევან მიქაბერიძე

# ბიულეტენი

| |
|---|
| საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულების საფუძველზე მიმდინარე მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის კენჭისყრა<br>27.09.2024 |
| მოსამართლეობის კანდიდატი ვლადიმერ წითლაური დაინიშნოს |
| 1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ<br>2. თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლედ<br>3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ |

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს
ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ ვლადიმერ წითლაურის განწესებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების

დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით, დაიწყო სააპელაციო და საქალაქო სასამართლოებში მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 15 აგვისტოს №1/81 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა ვლადიმერ წითლაური.

საგულისხმოა, რომ კანდიდატი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულებით დაწყებულ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაშიც მონაწილეობდა, რომლის ფარგლებშიც მასთან გასაუბრება გაიმართა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოპოვებული ინფორმაციის საფუძვლიანი შესწავლის, მათ შორის, კანდიდატთან გამართული საჯარო მოსმენის საფუძველზე, შევადგინე ვლადიმერ წითლაურის შეფასების დასაბუთება. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული კეთილსინდისიერების ყველა კრიტერიუმის მახასიათებლით შემოწმებისას ვლადიმერ წითლაური შევაფასე სრულად დადებითად, რის გამოც მივიჩნიე, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. საგულისხმოა, რომ კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით ვლადიმერ წითლაური შეფასებული მყავს 90 ქულით, რაც „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული მაქსიმალური შეფასების 90% შეადგენს.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 19 სექტემბრის №1/83 განკარგულებით თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებული კონკურსის შემდგომ ეტაპზე გადავიდა 16 კანდიდატი, მათ შორის, ვლადიმერ წითლაური.

მოგეხსენებათ, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წევრთა მიერ განხორციელებული შეფასებების გათვალისწინებით, შედგენილია სარეიტინგო სია, რომლის მიხედვით, ვლადიმერ წიკლაურს დაკავებული აქვს მე-8 ადგილი.

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ჩატარებულ ღია კენჭისყრაზე საბჭოს წევრთა მიერ მხარდაჭერილი იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოში სხვადასხვა პირთა (სულ 7 კონკურსანტი) განწესების საკითხი. იმის გათვალისწინებით, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, სხვადასხვა ამოცანის შესრულებასთან ერთად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო უზრუნველყოფს სასამართლოს ეფექტიანობას, მიზანშეწონილად არ მიმაჩნია, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ვლადიმერ წითლაურის განწესება.

ლევან მიქაბერიძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

27 სექტემბერი, 2024 წელი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ლევან მურუსიძე

# ბიულეტენი

| |
|---|
| საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულების საფუძველზე მიმდინარე მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის კენჭისყრა 27.09.2024 |
| მოსამართლეობის კანდიდატი ვლადიმერ წითლაური დაინიშნოს |
| 1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ<br>2. თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლედ<br>3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ |

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს
ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს

**ვლადიმერ წითლაურის თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე განწესებაზე უარის შესახებ გადაწყვეტილების**

**დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა**

**27 სექტემბერი, 2024 წელი**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და $34^{1}$ მუხლის მე-12-13 პუნქტების შესაბამისად, ვლადიმერ წითლაურის შეფასების შედეგების ანალიზისა და გასაუბრების საფუძველზე, მივიღე გადაწყვეტილება არ დავუჭირო მხარი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 22 ივლისის N1/74 განკარგულებების საფუძველზე გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში მის მოსამართლედ განწესებას.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $35^{1}$ მუხლში მითითებული კრიტერიუმების მახასიათებლებით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ განხორციელებული შეფასებებისა და შეფასებათა დასაბუთებების მიხედვით, ვლადიმერ წითლაურის კეთილსინდისიერების კრიტერიუმის შეფასებისას - ყველა წევრი მიიჩნევს, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით მის მიერ მოპოვებული ქულათა ჯამი შეადგენს 1233 ქულას, რაც ქულათა მაქსიმალური შესაძლებელი რაოდენობის (1400) 88,07 პროცენტია.

მოძიებული ინფორმაციის, საჯარო მოსმენით მიღებული შთაბეჭდილებისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ განხორციელებული შეფასებების ანალიზის საფუძველზე, მიმაჩნია, რომ ვლადიმერ წითლაური სრულად აცნობიერებს სწრაფი, ობიექტური და ხარისხიანი მართლმსაჯულების განხორციელების მნიშვნელობასა და მოსამართლის პასუხისმგებლობის სიმძიმეს.

თუმცა, ვითვალისწინებ რა სასამართლო სისტემის გამართული და შეუფერხებელი მუშაობისათვის ადამიანური რესურსის ოპტიმალური გადანაწილების აუცილებლობას, მიმაჩნია, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის N1/52 და 22 ივლისის N1/74 განკარგულებების საფუძველზე გამოცხადებული კონკურსების ფარგლებში შერჩეული კანდიდატების ნაწილი (მოცემულ შემთხვევაში ვლადიმერ წითლაური) უმჯობესია მოსამართლედ განწესდეს არა თბილისის საქალაქო სასამართლოში, არამედ, საჭიროებისამებრ, სხვა საქალაქო ან რაიონული სასამართლოს შემადგენლობაში.

საქართველოს კონსტიტუციითა და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსათვის განსაზღვრული ერთ-ერთი უმთავრესი მიზნიდან, სასამართლო სისტემის ეფექტიანი საქმიანობის უზრუნველყოფის მოთხოვნიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიმაჩნია, უარი ეთქვას ვლადიმერ წითლაურს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ განწესებაზე.

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი**

**ლევან მურუსიძე**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

დიმიტრი გვრიტიშვილი

# ბიულეტენი

| |
|---|
| საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულების საფუძველზე მიმდინარე მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის კენჭისყრა<br>27.09.2024 |
| მოსამართლეობის კანდიდატი ვლადიმერ წითლაური დაინიშნოს |
| 1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ<br>2. თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლედ<br>3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ |

HIGH COUNCIL OF JUSTICE OF GEORGIA

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

დიმიტრი გვრიტიშვილი

2024 წლის 27 სექტემბერი, ქალაქი თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ვლადიმერ წითლაურის დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - „საბჭო") 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით, თბილისის საქალაქო სასამართლოში არსებულ მოსამართლის 12 ვაკანტურ თანამდებობაზე (3-3 ვაკანტურ თანამდებობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ, სამოქალაქო, სისხლის სამართლის საქმეთა, საგამოძიებო და წინასასამართლო კოლეგიებში) გამოცხადდა კონკურსი, რომელშიც, სხვა კანდიდატებთან ერთად, მონაწილეობა მიიღო **ვლადიმერ წითლაურმა** (შემდგომში - „კანდიდატი"). კონკურსი, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - „კანონი") 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის მე-2 წინადადების შესაბამისად, ჩატარდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. კანდიდატთა შესახებ მოპოვებული წერილობითი, ასევე - მათი საჯარო მოსმენის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, 2024 წლის 17 სექტემბერს, „კანონის" $34^1$ მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, შევაფასე „კანდიდატი", რის შედეგადაც მივიჩნიე, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით მას მივანიჭე 87 ქულა, რაც „კანონის" $35^1$ მუხლის მე-16 პუნქტით გათვალისწინებული მაქსიმალური ქულის 87%-ს შეადგენს.

3. „საბჭოს“ 2024 წლის 19 სექტემბრის №1/83 განკარგულების თანახმად, კონკურსის შემდეგ ეტაპზე გადავიდა „კანდიდატი“. როგორც „საბჭოს“ ყველა წევრის მიერ განხორციელებული შეფასებების განზოგადებით შედგენილი, რეიტინგული სიით აღმოჩნდა, „კანდიდატმა“ დაიკავა მე-8 ადგილი, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით განხორციელებულ შეფასებებში მოპოვებული, განზოგადებული ქულით (88.07%).

4. შესაბამისად, „კანონის“ 34¹ მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი წესით, 2024 წლის 27 სექტემბერს, „საბჭომ“ ჩაატარა ღია კენჭისყრა, რომლის ფარგლებშიც თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლედ დასანიშნად მხარი დავუჭირე აღნიშნულ რეიტინგულ სიაში „კანდიდატამდე“ არსებულ 7 კანდიდატს (ქეთევან ლოთიშვილი, ლელა მარიდაშვილი, ნინო ჩინჩალაძე, დავით თეთრაული, ზვიად გოჩაშვილი, ზვიად ცეკვავა და ეკა ბარბაქაძე). რაც შეეხება „კანდიდატს“, **მხარი არ დავუჭირე მის დანიშვნას თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე,** შემდეგ გარემოებათა გამო:

4.1. აღნიშნული კონკურსის პარალელურად, მიმდინარეობდა „საბჭოს“ 28 ივნისის №1/52 განკარგულების საფუძველზე რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში არსებულ მოსამართლის 17 ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსიც, რომელშიც მონაწილეობდა საერთო ჯამში 17 კანდიდატი, მათ შორის - „კანდიდატიც“. ანუ, ორივე კონკურსში მონაწილეობდნენ ერთი და იგივე კანდიდატები; ორივე კონკურსის ფარგლებში „საბჭოს“ წევრების მიერ განხორციელებული შეფასებების განზოგადებით შედგენილი რეიტინგული სიებიც იდენტურია, რაც ასახულია „საბჭოს“ ოფიციალურ ვებგვერდზე 2024 წლის 19 სექტემბერს გამოქვეყნებულ №1/82 და №1/83 განკარგულებებში.

4.2. ამასთან, „საბჭომ“ თავდაპირველად კენჭისყრა სწორედ მოცემული კონკურსის ფარგლებში ჩაატარა, რადგან თბილისის საქალაქო სასამართლო არის საქართველოს საერთო სასამართლოებს შორის ყველაზე დიდი და დატვირთული სასამართლო; შესაბამისად, მიზანშეწონილად ჩაითვალა - ორივე კონკურსის ფარგლებში მონაწილე კანდიდატების მეშვეობით ჯერ სწორედ თბილისის საქალაქო სასამართლოს და უკვე შემდეგ საქართველოს დანარჩენი სასამართლოების საკადრო დაკომპლექტების საკითხის გადაწყვეტა.

4.3. საქართველოს კონსტიტუციის 64-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, „საბჭოს“ ერთ-ერთი კონსტიტუციური ფუნქციაა საერთო სასამართლოების ეფექტიანობის უზრუნველყოფა. ამდენად, აუცილებელია - „საბჭომ“ მის განკარგულებაში არსებული ყველა რესურსი, მათ შორის - დასახელებულ კონკურსებში მონაწილე კანდიდატთა შემადგენლობა ისე გაანაწილოს სხვადასხვა სასამართლოს შორის, რომ მაქსიმალურად იყოს უზრუნველყოფილი თითოეული სასამართლოს ეფექტიანობა.

4.3. თუ გავითვალისწინებთ საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სრული შემადგენლობის (328 მოსამართლე) და თბილისის საქალაქო სასამართლოს შემადგენლობის (119 მოსამართლე) თანაფარდობას, ასევე სასამართლოთა დატვირთულობის დონეს, მივიჩნიე, რომ, ამ ეტაპზე, არსებული 17 კანდიდატიდან, რეიტინგული სიის სათავეში მყოფი 7 კანდიდატის დანიშვნა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ იყო საკითხის მაქსიმალურად გონივრული გადაწყვეტა, რის შემდეგაც დანარჩენი კანდიდატები, ასევე ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნებისათვის, უნდა გადანაწილდეს საქართველოს დანარჩენ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში.

დიმიტრი გვრიტიშვილი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ვასილ მშვენიერაძე

# ბიულეტენი

|  |
| --- |
| საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულების საფუძველზე მიმდინარე მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის კენჭისყრა<br>27.09.2024 |
| მოსამართლეობის კანდიდატი ვლადიმერ წითლაური დაინიშნოს |
| 1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ<br>2. თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლედ<br>3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ |

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ვასილ მშვენიერაძე**

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს**
**ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს**

**თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ვლადიმერ წითლაურის განწესებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების**

**დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით, გამოცხადდა კონკურსი სააპელაციო სასამართლოებსა და თბილისის საქალაქო სასამართლოში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე (18 ვაკანსიაზე).

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 15 აგვისტოს №1/81 განკარგულებით, კანდიდატად დარეგისტრირდნენ სააპელაციო სასამართლოების და თბილისის საქალაქო სასამართლოში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე პირები, მათ შორის - ვლადიმერ წითლაური.

კანდიდატი შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $34^{1}$ მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად. შეფასებისას ვიხელმძღვანელე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კანონით დადგენილი წესით, კანდიდატის შესახებ მოპოვებული ინფორმაციისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს დასკვნის გაცნობით, ასევე კანდიდატის საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილებით.

კანდიდატთან დაკავშირებული ინფორმაციის ანალიზისა და შეჯერების შედეგად მივიჩნიე, რომ ვლადიმერ წითლაური სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $35^{1}$ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, კანდიდატი ასევე შევაფასე კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლებით: „ა“ სამართლის ნორმების ცოდნა; „ბ“ სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; „გ“ წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარები; „დ“ პროფესიული თვისებები; „ე“ აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა; „ვ“ პროფესიული აქტივობა. მითითებული მახასიათებლების მიხედვით, ვლადიმერ წითლაურს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად მივანიჭე 88 ქულა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 19 სექტემბრის №1/83 განკარგულებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებული კონკურსის შემდგომ ეტაპზე გადავიდა კანდიდატი - ვლადიმერ წითლაური. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ განხორციელებული შეფასებების მონაცემებით შედგენილი რეიტინგული სიის თანახმად, ვლადიმერ წითლაურმა დაიკავა მე-8 ადგილი (განზოგადებული ქულა - 88.07%).

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით გამოცხადებული კონკურსის პარალელურად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულებით, რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში არსებულ მოსამართლის 17 ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადდა და ჩატარდა კონკურსი, რომელშიც 2024 წლის 24 ივლისის №1/77 განკარგულებით დარეგისტრირდა ის 17 კანდიდატი, რომლებიც ასევე მონაწილეობენ აღნიშნულ კონკურსში, მათ შორის - ვლადიმერ წითლაური. ორივე კონკურსის ფარგლებში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ განხორციელებული შეფასებების მონაცემებით შედგენილი რეიტინგული სიები იდენტურია, რაც ასახულია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 19 სექტემბრის №1/82 და №1/83 განკარგულებებში.

საქართველოს კონსტიტუციის და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო უზრუნველყოფს სასამართლოს ეფექტიანობას. ამ მიზნით, იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია წარმოდგენილ კონკურსებში მონაწილე კანდიდატები ისე განაწესოს სხვადასხვა სასამართლოს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე, რომ თითოეული სასამართლოს ეფექტური მუშაობა უზრუნველყოს.

შესაბამისად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი წესის თანახმად, საქართველოს იუსტიციის

უმაღლესმა საბჭოს მიერ ჩატარებულ ღია კენჭისყრაზე მხარი არ დავუჭირე ვლადიმერ წითლაურის თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე განწესებას.

**ვასილ მშვენიერაძე**

**27 სექტემბერი, 2024 წელი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

თემურ გოგოხია

# ბიულეტენი

| |
|---|
| საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულების საფუძველზე მიმდინარე მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის კენჭისყრა<br>27.09.2024 |
| მოსამართლეობის კანდიდატი ვლადიმერ წითლაური დაინიშნოს |
| 1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ<br>2. თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლედ<br>3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ |

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს,
ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს

**თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ვლადიმერ წითლაურის განწესებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების**

# დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

**27 სექტემბერი, 2024 წელი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულების საფუძველზე დაიწყო საქართველოს სააპელაციო სასამართლოებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლის 18 ვაკანტურ თანამდებობაზე განწესების მსურველ კანდიდატთა შერჩევის პროცედურა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ვლადიმერ წითლაურმა.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და $34^1$ მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, ვლადიმერ წითლაური შეფასების შედეგების ანალიზისა და გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მოთხოვნებს, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით მის მიერ მოპოვებული ქულათა ჯამი შეადგენს 1233 ქულას რაც ქულათა მაქსიმალური შესაძლებელი რაოდენობის 88,07 პროცენტია. მოპოვებული ინფორმაციის, საჯარო მოსმენით მიღებული შთაბეჭდილებისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ განხორციელებული შეფასებების ანალიზის საფუძველზე, მიმაჩნია, რომ ვლადიმერ წითლაური სრულად აცნობიერებს სწრაფი, ობიექტური და ხარისხიანი მართლმსაჯულების განხორციელების მნიშვნელობას.

მიუხედავად ამისა, საქართველოს კონსტიტუციითა და „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსათვის განსაზღვრული ერთ-ერთი უმთავრესი მიზნიდან, სასამართლო სისტემის გამართული და შეუფერხებელი მუშაობისათვის ადამიანური რესურსის სწორი გადანაწილების აუცილებლობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიმაჩნია, უარი ეთქვას ვლადიმერ წითლაურს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ განწესებაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მხარი არ დავუჭირე ვლადიმერ წითლაურის თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე განწესებას.

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი**

**თემურ გოგოხია**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

გიორგი გზობავა

# ბიულეტენი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის
№1/74 განკარგულების საფუძველზე მიმდინარე მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის კენჭისყრა
27.09.2024

მოსამართლეობის კანდიდატი ვლადიმერ წითლაური დაინიშნოს

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ
2. თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლედ
3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი**

**გიორგი გზობავა**

**„27" სექტემბერი, 2024 წელი** **თბილისი**

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე **ვლადიმერ წითლაურის** განწესებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების

**დასაბუთება**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა გიორგი გზობავამ „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის $34^1$ მუხლის მე-13 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, 2024 წლის 27 სექტემბერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ჩატარებული ღია კენჭისყრის ფარგლებში, მხარი არ დავუჭირე თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე **ვლადიმერ წითლაურის** დანიშვნას.

კანდიდატის - **ვლადიმერ წითლაურის** მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, კანდიდატის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი დეპარტამენტის მიერ მოპოვებული და წარმოდგენილი ინფორმაციის, ასევე კანდიდატთან ჩატარებული საჯარო გასაუბრების საფუძველზე, მივიჩნიე, რომ კანდიდატი - **ვლადიმერ წითლაური** სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ **კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს**, ხოლო კანონით განსაზღვრული **კომპეტენტურობის კრიტერიუმების** მიხედვით, **ვლადიმერ წითლაური** ჩემ მიერ შეფასდა საკმაოდ მაღალი შეფასებით, კერძოდ - **87 (87%)** ქულით *(იხ. ჩემი 2024 წლის 17 სექტემბრის შეფასება)*.

ჩემ მიერ, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე **ვლადიმერ წითლაურის** განწესებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, გათვალისწინებული იქნა ის გარემოება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში შედგენილი რეიტინგული სიის მიხედვით, მან დაიკავა მერვე პოზიცია, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ჩატარებული ღია კენჭისყრისას კი მხარი დავუჭირე აღნიშნული რეიტინგული სიის პირველ 7 კანდიდატს. ვინაიდან, აღნიშნული კონკურსი 2024 წლის 28 ივნისის 1/52 განკარგულებით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში არსებულ მოსამართლის 17 ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის პარალელურად მიმდინარეობდა, სადაც ასევე მონაწილეობას იღებდა **ვლადიმერ წითლაური.**

იუსტიციის უმაღლესი საბჭო საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების დატვირთულობიდან გამომდინარე, უფლებამოსილია დასახელებულ კონკურსებში მონაწილე კანდიდატთა შემადგენლობა ისე გაანაწილოს სხვადასხვა სასამართლოს შორის, რომ უზრუნველყოს თითოეული სასამართლოს ეფექტური მუშაობა, შესაბამისად, მხარი არ დავუჭირე **ვლადიმერ წითლაურის** თბილისის საქალაქო სასამართლოში განწესებას.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი:

გიორგი გზობავა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ტრისტან ბენაშვილი

# ბიულეტენი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის
№1/74 განკარგულების საფუძველზე მიმდინარე მოსამართლეობის კანდიდატების
შესარჩევი კონკურსის კენჭისყრა
27.09.2024

მოსამართლეობის კანდიდატი ვლადიმერ წითლაური დაინიშნოს

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ
2. თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლედ
3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ტრისტან ბენაშვილი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს
ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს

**თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ვლადიმერ წითლაურის განწესებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების**

**დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის N1/74 განკარგულების საფუძველზე დაიწყო სააპელაციო სასამართლოებსა და თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა. აღნიშნულ პროცედურაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 15 აგვისტოს N1/81 განკარგულებით კანდიდატად დარეგისტრირდა ვლადიმერ წითლაური.

კანდიდატების შესახებ კანონით დადგენილი წესით მოძიებული სანდო ინფორმაციის საფუძველზე და მათი საჯარო მოსმენის შედეგად 2024 წლის 17 სექტემბერს „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის $34^1$ მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით შევაფასე პროცედურაში მონაწილე კანდიდატები, მათ შორის ვლადიმერ წითლაური, რის შედეგადაც გავაკეთე დასკვნა, რომ ვლადიმერ წითლაური სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას ვლადიმერ წითლაურს ორგანული კანონის $36^4$ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული წესის თანახმად, თითოეულ კომპონენტში მივანიჭე შესაბამისი ქულა, რის შედეგადაც მან ჯამში მიიღო მაღალი - 90 ქულა, რაც ორგანული კანონით გათვალისწინებული მაქსიმალური ქულის 90%-ს შეადგენს.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 19 სექტემბრის N1/83 განკარგულებით თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებული კონკურსის შემდგომ ეტაპზე გადავიდა კანდიდატი ვლადიმერ წითლაური. იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წევრების მიერ განხორციელებული შეფასებების მონაცემებით შედგენილი რეიტინგული სიის თანახმად, ვლადიმერ წითლაურმა დაიკავა მე-8 ადგილი (განზოგადებული ქულა -88.07%).

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის N1/74 განკარგულებით გამოცხადებული კონკურსის პარალელურად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის N1/52 განკარგულებით, რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში არსებულ მოსამართლის 17 ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადდა და ჩატარდა კონკურსი, რომელშიც 2024 წლის 24 ივლისის N1/77 განკარგულებით დარეგისტრირდა ის 17 კანდიდატი, რომლებიც ასევე მონაწილეობენ აღნიშნულ კონკურსში, მათ შორის - ვლადიმერ წითლაური. ორივე კონკურსის ფარგლებში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ განხორციელებული შეფასებების მონაცემებით შედგენილი რეიტინგული სიები იდენტურია, რაც ასახულია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 19 სექტემბრის N1/82 და N1/83 განკარგულებებში.

2024 წლის 27 სექტემბერს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ჩატარებულ ღია კენჭისყრაზე 2024 წლის 22 ივლისის N1/74 განკარგულებით გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე გასამწესებლად მხარი დავუჭირე რეიტინგულ სიაში მყოფ პირველ 7 კანდიდატს.

აქვე აღვნიშნავ, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო უზრუნველყოფს სასამართლოს ეფექტიანობას. სწორედ ამ მიზნით, იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია წარმოდგენილ კონკურსებში მონაწილე კანდიდატები ისე გაამწესოს სხვადასხვა სასამართლოს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე, რომ უზრუნველყოს თითოეული სასამართლოს ეფექტური ფუნქციონირება.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, 2024 წლის 27 სექტემბერს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ჩატარებულ ღია კენჭისყრაზე მხარი არ დავუჭირე ვლადიმერ წითლაურის თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე განწესების საკითხს.

**ტრისტან ბენაშვილი**

**27 სექტემბერი, 2024 წელი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ზურაბ გურასპაშვილი

# ბიულეტენი

| |
|---|
| საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულების საფუძველზე მიმდინარე მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის კენჭისყრა<br>27.09.2024 |
| მოსამართლეობის კანდიდატი ვლადიმერ წითლაური დაინიშნოს |
| 1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ<br>2. თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლედ<br>3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ |

**საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მდივანს, ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს**

**თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ვლადიმერ წითლაურის განწესებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების**

**დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა**

**27 სექტემბერი, 2024 წელი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით დაიწყო საქართველოს სააპელაციო და საქალაქო სასამართლოებში არსებულ მოსამართლის 18 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსი, რომელშიც სხვა კანდიდატებთან ერთად დარეგისტრირდა - ვლადიმერ წითლაური.

აღნიშნულ კონკურსში მონაწილე კანდიდატების შეფასებისას ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $34^1$ მუხლის მე-11 პუნქტით და ამავე ორგანული კანონის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით.

კანდიდატი ვლადიმერ წითლაური შევაფასე ორგანული კანონის $35^1$ მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 4 (ოთხი) მახასიათებლის მიხედვით, ასევე, ამავე მუხლის მე-15 პუნქტის საფუძველზე მისი კეთილსინდისიერების შესახებ შევადგინე საბოლოო დასკვნა, რომლის მიხედვითაც დადასტურებულად მივიჩნიე, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

ვლადიმერ წითლაური ასევე შევაფასე ორგანული კანონის $35^1$ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული კომპეტენტურობის კრიტერიუმის 6 (ექვსი) მახასიათებლის მიხედვით, თითოეული მახასიათებლისათვის ორგანული კანონის $35^1$ მუხლის მე-16 პუნქტით განსაზღვრული ქულების მინიჭების და თითოეული ამ ქულის დასაბუთების გზით. კანდიდატ ვლადიმერ წითლაურის თითოეულ მახასიათებელში მიღებული შეფასებებიდან გამომდინარე, ჩემ მიერ მინიჭებულმა ქულათა ჯამმა შეადგინა 90 ქულა.

კანდიდატ ვლადიმერ წითლაურის კეთილსინდისიერების კრიტერიუმის შეფასებისას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყველა წევრი მიიჩნევს, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, მის მიერ მოპოვებულ ქულათა ჯამმა შეადგინა 1233 ქულა, რაც მაქსიმალური შესაძლებელი რაოდენობის (1400) 88,07 პროცენტია.

შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 19 სექტემბრის 1/83 განკარგულებით აღნიშნული პროცედურის შემდგომ ეტაპზე გადავიდა - ვლადიმერ წითლაური.

2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში შედგენილი რეიტინგული სიის მიხედვით, ვლადიმერ წითლაურმა დაიკავა მერვე პოზიცია. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $34^1$ მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი წესით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ჩატარებული ღია კენჭისყრისას მხარი დავუჭირე აღნიშნული რეიტინგული სიის პირველ 7 კანდიდატს. ვლადიმერ წითლაური ასევე მონაწილეობას იღებდა, აღნიშნული კონკურსის პარალელურად, 2024 წლის 28 ივნისის 1/52 განკარგულებით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის 17 ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში. საქართველოს კონსტიტუციის 64-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, „საბჭოს“ ერთ-ერთი კონსტიტუციური ფუნქციაა საერთო სასამართლოების ეფექტიანობის უზრუნველყოფა, შესაბამისად, დასახელებულ კონკურსებში მონაწილე კანდიდატები ისე უნდა განაწილდნენ სხვადასხვა სასამართლოში, რომ უზრუნველყოფილი იყოს თითოეული სასამართლოს ეფექტური მუშაობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 2024 წლის 27 სექტემბერს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ჩატარებულ ღია კენჭისყრაზე მხარი არ დავუჭირე ვლადიმერ წითლაურის თბილისის საქალაქო სასამართლოში დანიშვნას.

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი**

**ზურაბ გურასპაშვილი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

გოგა კიკილაშვილი

# ბიულეტენი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულების საფუძველზე მიმდინარე მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის კენჭისყრა
27.09.2024

მოსამართლეობის კანდიდატი ვლადიმერ წითლაური დაინიშნოს

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ
2. თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლედ
3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ

## საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი გოგა კიკილაშვილი

## თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე კანდიდატ ვლადიმერ წითლაურის დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - ,,საბჭო") 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით, თბილისის საქალაქო სასამართლოში არსებულ მოსამართლის 12 ვაკანტურ თანამდებობაზე[1] გამოცხადდა კონკურსი, რომელშიც, სხვა კანდიდატებთან ერთად, მონაწილეობა მიიღო **ვლადიმერ წითლაურმა** (შემდგომში - ,,კანდიდატი"). ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - ,,კანონი") 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მოსამართლის კონკურსით დანიშვნისას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ხელმძღვანელობს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] და 34[2] მუხლების შესაბამისად განხორციელდა კანდიდატის შესახებ ინფორმაციის მოძიება და მისი საჯარო მოსმენა, რომელთა შედეგების გათვალისწინებითაც მივიჩნიე, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმით შევაფასე 85 ქულით. საბჭოს ყველა წევრის მიერ განხორციელებული შეფასებების განზოგადებით შედგენილი, რეიტინგული სიით ,კანდიდატმა დაიკავა მე-8 ადგილი და კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით განხორციელებულ შეფასებებში დააგროვა ქულათა 88.07%.

2024 წლის 27 სექტემბერს, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი წესით, ჩატარდა ღია

---

[1] 3-3 ვაკანტურ თანამდებობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ, სამოქალაქო, სისხლის სამართლის საქმეთა, საგამოძიებო და წინასასამართლო კოლეგიებში

კენჭისყრა. კენჭისყრის დროს თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლედ დასანიშნად მხარი დავუჭირე აღნიშნულ რეიტინგულ სიაში კანდიდატამდე არსებულ 7 კანდიდატს: ქეთევან ლოთიშვილს, ლელა მარიდაშვილს, ნინო ჩინჩალაძეს, დავით თეთრაულს, ზვიად გოჩაშვილს, ზვიად ცეკვავას, ეკა ზარზაქაძეს.

**თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე კანდიდატის დანიშვნას მხარი არ დავუჭირე რიგ გარემოებათა გამო:**

საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით თბილისის საქალაქო სასამართლოში გამოცხადებული კონკურსის პარალელურად, საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულების საფუძველზე რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში არსებულ მოსამართლის 17 ვაკანტურ თანამდებობაზე ჩატარდა კონკურსი. ორივე კონკურსში მონაწილეობდნენ ერთი და იგივე კანდიდატები, მათ შორის კანდიდატი ვლადიმერ წითლაურიც, შესაბამისად, ორივე კონკურსის ფარგლებში ფორმირებული რეიტინგული სიებიც იდენტურია.[2]

თავდაპირველად კენჭი ეყარა კანდიდატებს №1/74 განკარგულებით თბილისის საქალაქო სასამართლოში გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში. თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმეთა რაოდენობის და მოსამართლეთა დატვირთვის მაჩვენებლების გათვალისწინებით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ორივე კონკურსის ფარგლებში მონაწილე კანდიდატებიდან ჯერ თბილისის საქალაქო სასამართლოს და შემდგომ საქართველოს დანარჩენი სასამართლოების დაკომპლექტება.

გადაწყვეტილების მიღების დროს ვიხელმძღვანელე საბჭოს კონსტიტუციური ამოცანებით. სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ის ერთ-ერთი საკვანძო ფუნქციაა და მნიშვნელოვანია, რომ მისი რეალიზაცია თანაბარწილად ხორციელდებოდეს ყველა ტერიტორიულ ერთეულსა და ყველა ინსტანციის სასამართლოში. ამგვარი ბალანსის მიღწევის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა რომ მოსამართლეების დანიშვნის დროს ერთი სასამართლოს ეფექტიანობის გაზრდა არ მოხდეს მეორის ეფექტიანობის შემცირების ხარჯზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმეთა რაოდენობის და მოსამართლეთა დატვირთვის მაჩვენებლების, აგრეთვე თბილისის საქალაქო სასამართლოსა და სხვა რაიონულ(საქალაქო) სასამართლოებში მოსამართლეთა რაოდენობის პროპორციული შეფარდების მაჩვენებლის გათვალისწინებით, როგორც თბილისის, ისე საქართველოს დანარჩენ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში

---

[2] იხ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს №1/82 და №1/83 განკარგულებები.

მართლმსაჯულების ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნებისათვის მიმაჩნია, რომ კანდიდატებიც რაიონულა(საქალაქო) სასამართლოებში პროპორციულად უნდა გადანაწილდეს. მიმაჩნია, რომ თანაფარდობა 7/10 არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით ოპტიმალურია და უზრუნველყოფს თბილისსა და რეგიონებში რაიონული(საქალაქო) სასამართლოებში კანდიდატების თანაბარ გადანაწილებას, რაც უპირველესად ემსახურება მართლმსაჯულების ინტერესებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მხარი არ დავუჭირე კანდიდატ ვლადიმერ წითლაურის დანიშვნას თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლის თანამდებობაზე.

**გოგა კიკილაშვილი** 27 /09 / 2024

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

THE HIGH COUNCIL OF JUSTICE OF GEORGIA

ლევან ნემსაძე

# ბიულეტენი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულების საფუძველზე მიმდინარე მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის კენჭისყრა
27.09.2024

მოსამართლეობის კანდიდატი ვლადიმერ წითლაური დაინიშნოს

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლედ

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ლევან ნემსაძე

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ ვლადიმერ წითლაურის განწესებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის N1/74 განკარგულების საფუძველზე დაიწყო სააპელაციო სასამართლოების და თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა. აღნიშნულ პროცედურაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 15 აგვისტოს N1/81 განკარგულებით კანდიდატად დარეგისტრირდა ვლადიმერ წითლაური.

აღსანიშნავია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - ორგანული კანონი) შესაბამისად, შევადგინე პროცედურაში მონაწილე ყველა კანდიდატის, მათ შორის ვლადიმერ წითლაურის შეფასების დასაბუთება. აღნიშნული დასაბუთება დაეყრდნო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ ორგანული კანონის საფუძველზე კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს დასკვნას და საჯარო მოსმენაზე მის მიერ გამოვლენილ თვისებებსა და მახასიათებლებს. ინფორმაციის ანალიზისა და შეჯერების შედეგად მივიჩნიე, რომ ვლადიმერ წითლაური ორგანული კანონით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის თითოეული მახასიათებლის მიმართ უნდა შეფასდეს დადებითად, შესაბამისად გავაკეთე დასკვნა, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას ვლადიმერ წითლაურს ორგანული კანონის თანახმად, თითოეულ კომპონენტში მივანიჭე შესაბამისი ქულა, რის შედეგადაც მან ჯამში მიიღო - 90 ქულა, რაც ორგანული კანონით გათვალისწინებული მაქსიმალური ქულის 90% შეადგენს.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 19 სექტემბრის N1/83 განკარგულებით თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებული კონკურსის შემდგომ ეტაპზე გადავიდა 16 კანდიდატი, მათ შორის,

ვლადიმერ წითლაური. იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ყველა წევრის მიერ განხორციელებული შეფასებების შედგენილი რეიტინგის თანახმად, ვლადიმერ წითლაურმა დაიკავა მე-8 ადგილი (განზოგადებული ქულა -88.07%).

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის N1/74 განკარგულებით გამოცხადებული კონკურსის პარალელურად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის N1/52 განკარგულებით, რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადდა და ჩატარდა კონკურსი. ორივე კონკურსის ფარგლებში განხორციელებული შეფასებების მონაცემებით შედგენილი რეიტინგული სიები იდენტურია, რაც ასახულია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 19 სექტემბრის N1/82 და N1/83 განკარგულებებში.

თავდაპირველად კენჭისყრა მოცემული კონკურსის ფარგლებში ჩატარდა, რადგან თბილისის საქალაქო სასამართლო არის საქართველოს საერთო სასამართლოებს შორის ყველაზე დიდი და დატვირთული სასამართლო; შესაბამისად, მიზანშეწონილად ჩაითვალა - ორივე კონკურსის ფარგლებში მონაწილე კანდიდატების მეშვეობით ჯერ სწორედ თბილისის საქალაქო სასამართლოს და უკვე შემდეგ საქართველოს დანარჩენი სასამართლოების საკადრო დაკომპლექტების საკითხის გადაწყვეტა.

აქვე აღვნიშნავ, რომ საქართველოს კონსტიტუციის და „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო უზრუნველყოფს სასამართლოს საქმიანობის ეფექტიანობას. ამდენად, აუცილებელია - ,,საბჭომ" მის განკარგულებაში არსებული ყველა რესურსი, მათ შორის - დასახელებულ კონკურსებში მონაწილე კანდიდატთა შემადგენლობა ისე გაანაწილოს სხვადასხვა სასამართლოს შორის, რომ მაქსიმალურად იყოს უზრუნველყოფილი თითოეული სასამართლოს ეფექტიანობა.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ჩატარებულ ღია კენჭისყრაზე მიზანშეუწონლად მივიჩნიე ვლადიმერ წითლაურის თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე განწესება.

**ლევან ნემსაძე**

**27.09.2024**